ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N250

9 ოქტომბერი, 2015 წელი

ქ. თბილისი

ჩვენ, ერთის მხრივ, **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის, ივანე ქუმარიტაშვილის სახით *და მეორეს მხრივ,* **შპს ,,ბადაგი"** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის, ინგა ყაჯრიშვილის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის დაფინანსების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, მიმდინარე წლის მიმდინარე წლის 13-14 ოქტომბერს ქ. ჟენევაში, შვეიცარია, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) გარემოსდაცვითი პოლიტიკის კომიტეტის ორგანიზებით, გასამართი გარემოსდაცვითი საქმიანობის ეფექტიანობის მიმოხილვის (EPR 3) საექსპერტო ჯგუფის შეხვედრის მონაწილეთათვის საჩუქრად გადასაცემი სამი ერთეული სასაჩუქრე შეფუთვის (შეფუთვის შემადგენლობა-ჩურჩხელა, ნიგოზი, ჩირი და თხილი) (CPV-18530000) სახელმწიფო შესყიდვა. (შემდგომში - საქონელი).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში, დღგ-ს ჩათვლით და შეადგენს - 90.00 (ოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.ერთი ერთეული სასაჩუქრე შეფუთვის ღირებულებაა 30.00 ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1. "მიმწოდებელი" უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას, არაუგვიანეს 2015 წლის 12 ოქტომბრისა.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია "მიმწოდებლის" ადგილსამყოფელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია ანაზღაურების მიღების მიზნით "შემსყიდველს" საქონელთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.4. "შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს ნინო თხილავას.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და წარმოდგენილი საქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე , მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

გ) საქონლის მიწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. **"შემსყიდველი" ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს "მიმწოდებლის" შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

გ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

7.3. **"მიმწოდებელი" უფლებამოსილია:**

ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული
ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **"მიმწოდებელი" ვალდებულია:**

ა) საქონელი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების
შესაბამისად;

გ) დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი ნინო თხილავა.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".

8.4. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევე-ბისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, არაუგვიანეს 2015 წლის 30 ნოემბრისა.

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და
ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი - "მიმწოდებელს".

17. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6
ტელ/ფ: 2727200, 2727220, 2727237
ელ/მ: www.moe.gov.ge
ს/კ: 204861943
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,
კოდი: 220101222,
ა/ა: 200122900
ადმინისტრაციული
დეპარტამენტის უფროსი

ივანე ქუმარიტაშვილი

"მიმწოდებელი"

შპს „ბადაგი"
მის: ქ. თბილისი, მიმინოშვილის ქ.№2
ტელ/ფ: (+995) 597111022
ს/კ: 404907222
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE89TB7759436080100001

დირექტორი

ინგა ჯაყრიშვილი

მე შემსყიდველის მხრიდან ხელისმომწერი, მიმწოდებლის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) დადგენილ წესებს.

მიღება-ჩაბარების აქტი №250/1

9 ოქტომბერი, 2015 წ.

ქ. თბილისი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის** სამინისტრო (შემდგომში – "შემსყიდველი") წარმოდგენილი გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის ნინო თხილავას სახით, ხოლო მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი"

შპს „ბადაგი"

(დაწესებულების დასახელება)

დირექტორი ინგა ყაჯრიშვილი

(ხელმძღვანელის დასახელება)

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის დაფინანსების ფარგლებში, მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლის 9 ოქტომბრის №250 ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) თანახმად და პირობების დაცვით, „მიმწოდებელმა" მიაწოდა, ხოლო "შემსყიდველმა" მიიღო: სამი ერთეული საჩუქრად გადასაცემი სასაჩუქრე შეფუთვა ჩურჩხელების და ჩირების (CPV-18530000), ანგარიშსწორების საერთო ღირებულებით – 90.00 (ოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 90.00 (ოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) **ლარი.**

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს: 90.00 (ოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) **ლარი.**

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

აღნიშნული აქტი შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი – "მიმწოდებელს".

"შემსყიდველი"

გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი ნინო თხილავა

"მიმწოდებელი"

შპს „ბადაგი"-ს

დირექტორი ინგა ყაჯრიშვილი